ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – დ. პ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 007/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ბ. ვ-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. ვ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 27 იანვარს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. პ-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ ბ. ვ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნება. საქმის გარემოებების დადგენის მიზნით საჩივრის ავტორმა 2017 წლის 16 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის ინტერესებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში იცავდა ადვოკატი ნ. ს. ადვოკატი ნ. ს სამუშაოდ გადავიდა საჯარო სექტორში და საჩივრის ავტორის საქმე გადასცა თავის კოლეგას ადვოკატ ბ. ვ-ს. ადვოკატმა ბ. ვ-მ

განუცხადა საჩივრის ავტორს, რომ იგი იყო ადვოკატ ნ. ს-ს მეგობარი და საჩივრის ავტორის ინტერესებს დაიცავდა სასამართლო დავაში. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ბ. ვ-ს 2000 (ორი ათასი) ლარი გადასცა საადვოკატო მომსახურების საფასურის სახით ნაღდი ანგარიშსწორებით. 2015 წლის 14 დეკემბერს საჩივრის ავტორმა გააფორმა მინდობილობა ადვოკატთან.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ბ. ვ-თან მინდობილობის გაფორმების შემდეგ იგი დაინტერესდა თავისი საქმის მიმდინარეობით, თუმცა ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირება ვერ მოახერხა, რადგან ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა. ადვოკატს არ განუხორციელებია არანაირი მოქმედება იურიდიული მომსახურების მიზნით და მან ეს პირად საუბარშიც დაადასტურა, როდესაც საჩივრის ავტორი და ადვოკატი მის ოფისში შეხვდნენ 2016 წლის აპრილის თვეში. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილ თანხას სრულად დაუბრუნებდა, თუმცა შეხვედრის შემდეგ საჩივრის ავტორი ვეღარ ახერხებს ადვოკატთან დაკავშირებას, რადგან ადვოკატი თავს არიდებს საჩივრის ავტორთან კონტაქტს. საჩივრის ავტორმა ფოსტის საშუალებით წერილი გააგზავნა ქალაქ გორში მისამართზე, რომელზეც ადვოკატი ბ. ვ არის რეგისტრირებული. საფოსტო გზავნილით დადასტურდა, რომ წერილი ადვოკატმა ან მისმა ოჯახის წევრმა ჩაიბარა, თუმცა ეს წერილი დღემდე უპასუხოდ არის დატოვებული.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ბ. ვ-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 15 თებერვალს. ადვოკატმა 2017 წლის 13 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, იგი არ ეთანხმება დ. პ.-ს საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, დ. პ.-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეში იცავდა ადვოკატი ნ. ს. პარალელურად, დ. პ.-ს განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობით დოკუმენტების შესაძლო გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით. 2015 წელს ადვოკატმა ნ. ს.-მ მუშაობა დაიწყო საჯარო სამსახურში და ადვოკატ ბ. ვ.-ს სთხოვა გაეგრძელებინა დ. პ-ს ინტერესების დაცვა ადმინისტრაციულ დავასა და მიმდინარე გამოძიებაში. ამ დროს ჩანიშნული იყო სასამართლო პროცესი. ადვოკატმა ბ. ვ.-მა შესაბამისი მინდობილობის გაფორმების შემდეგ დაიწყო დ. პ.-ს უფლებების დაცვა. დ. პ.-ს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ადვოკატ ნ. ს.-თან ჰქონდა გაფორმებული, ხოლო ადვოკატ ბ. ვ.-სთან საადვოკატო მომსახურების თანხაზე შეთანხმება საჩივრის ავტორს არ ჰქონია და არც რაიმე თანხა გადაუცია მისთვის.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი დ. პ-ს ადმინისტრაციულ საქმეზე სამჯერ იყო სასამართლო პროცესზე. სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, ადვოკატმა ჩათვალა, რომ სარჩელი არ იყო პერსპექტიული და რომ არ დაკარგულიყო სახელმწიფო ბაჟისთვის გადახდილი თანხა, დ. პ.-სთან შეთანხმებით, ადვოკატმა ბ. ვ-მ სარჩელი გამოიხმო. დ. პ-მ სახელმწიფო ბაჟი დაიბრუნა.

დ. პ-ს ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით უნდა დალოდებოდნენ პროკურატურიდან მასალებს, რაც დავის თავიდან დაწყების შემთხვევაში სარჩელს გაამყარებდა.

2.4 ადვოკატმა ორჯერ გააუქმებინა თავისი განცხადებით გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება და თავიდან დაიწყო გამოძიება. იმის გამო, რომ გამოძიება გაჭიანურდა, დ. პ-მ მოითხოვა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების მასალები, რაც ადვოკატმა მთლიანად გადასცა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, დ. პ-მ იცის მისი ოფისის მისამართი, ტელეფონის ნომერი და მასთან დაკავშირების საშუალება აქვს სოციალურ ქსელშიც. საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მისამართზე ქალაქ გორში გაგზავნილი წერილი ადვოკატის მამამ ჩაიბარა, რომელმაც მაშინვე არ შეატყობინა ადვოკატისთვის წერილის თაობაზე. ადვოკატი სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და ჰკითხა თუ რა პრეტენზიები არსებობდა მის მიმართ, თუმცა საჩივრის ავტორისგან პასუხი არ მიუღია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის სასამართლო პროცესებზე დ. პ-თან ერთად იღებდა მონაწილეობას. დ. პ-მ შეგნებულად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანცელარიას, რათა გაეცათ ცნობა, რომ 2015 წელს არ იყო დ. პ-ს სამოქალაქო სარჩელი შესული სასამართლოში. დ. პ-მ კარგად იცოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მისი სარჩელი არ იყო, ვინაიდან დ. პ-ს სარჩელი იხილებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ბ. ვ არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 დ. პ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 27 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. ვ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ ბ. ვ-ს არ განუხორციელებია არანაირი მოქმედება იურიდიული მომსახურების მიზნით; ადვოკატმა განუცხადა საჩივრის ავტორს, რომ საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილ თანხას სრულად დაუბრუნებდა, თუმცა ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ საჩივრის ავტორი ვეღარ ახერხებს მასთან დაკავშირებას, რადგან ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეწყვიტა კომუნიკაცია.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ბ. ვ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: *,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“*

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: *,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“*

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას.

5.4 საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით დგინდება, რომ დ. პ-სა და ადვოკატ ბ. ვ-ს შორის მინდობილობა გაფორმდა 2015 წლის 14 დეკემბერს (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: X). სადაოა ადვოკატ ბ. ვ-თან დაიდო თუ არა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას იურიდიულ დახმარებას ადვოკატი ნ. ს უწევდა, თუმცა შემდეგ ნ. ს-მ საქმე გადააბარა ბ. ვ-ს. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ბ. ვ-ს გადაუხადა ჰონორარის სახით 2000 (ორი ათასი) ლარი, ხოლო ადვოკატის განმარტებით, დ. პ იყო მისი ოფისის თანამშრომლის, ადვოკატ ნ. სს კლიენტი და საქმე თანამშრომლის თხოვნით აიღო, ვინაიდან ჩანიშნული იყო სასამართლო პროცესი და ადვოკატი ნ. ს საჯარო სამსახურში გადადიოდა. ადვოკატი სადაოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ დ. პ-ს ინტერესების დაცვის ვალდებულება 2015 წლის დეკემბრის თვიდან აიღო, მაგრამ უარყოფს საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების შეთანხმების დადების ან ჰონორარის აღების ფაქტს. საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს ადვოკატის მიერ მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებით სასამართლოს პირველ ინსტანციაში, ხოლო პროკურატურაში გამოძიების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორს პოზიცია საერთოდ არ გამოუხატავს. საჩივრის ავტორმა

წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის წერილი, რომლის მიხედვითაც 2015 წლის 14 დეკემბრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანცელარიის ელექტრონული ბაზის მონაცემებით სამოქალაქო საქმე, სადაც მოსარჩელე ან მოპასუხე იქნებოდა დ. პ, რეგისტრირებული არ არის. ადვოკატმა ბ. ვ-მ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინაიდან, დავა იყო ადმინისტრაციული ხასიათის, სარჩელი შეტანილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საჯარო რეესტრის მიმართ და მესამე პირად ჩართული იყო შ. ც, შესაბამისად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანცელარიაში არც იქნებოდა რეგისტრირებული სამოქალაქო სარჩელი.

5.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ადვოკატ ბ. ვ-ს არ განუხორციელებია არანაირი მოქმედება დ. პ-ს იურიდიული მომსახურების მიზნით, ადვოკატმა ბ. ვ-მ 2017 წლის 13 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ საქმის მასალების გაცნობისა და სასამართლო განხილვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადვოკატ ნ. ს-ს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სარჩელი არ იყო პერსპექტიული, ასევე დამატებითი მტკიცებულებების მისაღებად საჭირო იყო გამოძიების დასრულება და პასუხის მიღება, იმიტომ, რომ არ დაკარგულიყო სახელმწიფო ბაჟისთვის გადახდილი თანხა, ადვოკატმა ბ. ვ-მ კლიენტთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ გამოითხოვა ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლოდან. ასევე ადვოკატმა განცხადებით ორჯერ გააუქმებინა გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება და გამოძიება დაიწყო თავიდან.

5.6 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე N026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.7 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 16 მარტს საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ დავა ეხებოდა მისი მშობლების მიერ დატოვებულ ქონებას, რომელიც მისთვის უცნობმა პირმა შ. ც-მ მანამდე დაირეგისტრირა, სანამ საჩივრის ავტორი მიიღებდა მემკვიდრეობით და გაიფორმებდა საკუთრებაში, ხოლო საჯარო რეესტრმა უძრავი ქონების საკუთრებაში დარეგისტრირებაზე უარი უთხრა საჩივრის ავტორს, რადგან აღნიშნული ქონება უკვე იმყოფებოდა ფიზიკური პირის საკუთრებაში. საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო კოლეგიისთვის მიცემული განმარტებიდან ჩანს, რომ დავა ადმინისტრაციული ხასიათის შესაძლოა იყოს, თუმცა არც საჩივრის ავტორს და არც ადვოკატს სასამართლო საქმის მასალები ან სხვა სახის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდნენ თავიანთ პოზიციას, არ წარმოუდგენიათ ეთიკის კომისიაში. საჩივრის

ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ბ. ვ-მ გარკვეული საპროცესო მოქმედებები განახორციელა, მაგრამ მისი დავა ამით არ დასრულებულა. ადვოკატის ახსნა-განმარტებიდანაც დგინდება, რომ მას კლიენტის, დ. პ-ს ინტერესების დასაცავად გარკვეული საპროცესო მოქმედებები შესრულებული აქვს. ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების შეფასებისთვის საქმეში მტკიცებულებების არარსებობის გამო, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით სრულყოფილად შეაფასოს თუ რა ვალდებულებები ჰქონდა აღებული ადვოკატს კლიენტის წინაშე და რამდენად კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შეასრულა აღნიშნული ვალდებულებები ადვოკატმა.

5.8 საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზია მდგომარეობს შემდეგში: ადვოკატმა განუცხადა საჩივრის ავტორს, რომ საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილ თანხას - 2000 (ორი ათას) ლარს სრულად დაუბრუნებდა, თუმცა ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ საჩივრის ავტორი ვეღარ ახერხებს მასთან დაკავშირებას, რადგან ადვოკატი თავს არიდებს საჩივრის ავტორთან კომუნიკაციას. საჩივრის ავტორმა ფოსტის საშუალებით წერილი გააგზავნა ქალაქ გორში მისამართზე, რომელზეც ადვოკატი ბ. ვ არის რეგისტრირებული. ფოსტით დადასტურდა, რომ წერილი ადვოკატმა ან მისმა ოჯახის წევრმა ჩაიბარა, თუმცა ეს წერილი დღემდე უპასუხოდ არის დატოვებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატმა ბ. ვ-მ განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმება დ. პ-მ ადვოკატ ნ. ს-თან დადო და თანხაც მას გადასცა, ხოლო ადვოკატ ბ. ვ-თან დ. პ-ს თანხაზე საუბარი საერთოდ არ ჰქონია და არც გადაუცია არანაირი თანხა, რადგან ადვოკატი ბ. ვ მას ემსახურებოდა თავისი თანამშრომლის ადვოკატ ნ. ს-ს თხოვნით. ქალაქ გორში ადვოკატ ბ. ვ-ის მისამართზე გაგზავნილი წერილის თაობაზე ადვოკატმა განმარტა, რომ წერილი ჩაიბარა მისმა მამამ, რომელმაც ამის თაობაზე მაშინვე არ შეატყობინა ადვოკატს, ხოლო როდესაც ბ. ვ-მ წერილის შესახებ შეიტყო, დაუკავშირდა სოციალური ქსელის საშუალებით დ. პ- საქმეში გასარკვევად, მაგრამ მისგან პასუხი არ მიუღია. საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურით გზავნილზე NX დგინდება, რომ წერილი ვ. ვ.-მ ჩაიბარა.

5.9 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით, ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. ამავე დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად, ,,მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.”

5.10 ვინაიდან დ. პ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ბ. ვ-მ უნდა დაუბრუნოს ჰონორარის სახით მიღებული თანხა, მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ თანხა ნამდვილად მისცა ბ. ვ-ს. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად,

საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მტკიცებულებები. საჩივრის ავტორმა საჩივრის, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ახსნა-განმარტებისა და საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურის გარდა, ეთიკის კომისიაში არ წარმოადგინა სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებდა სადაო გარემოებებს, კერძოდ ადვოკატის მიერ თანხის მიღების ფაქტს, უმოქმედობას და მოგვიანებით კლიენტთან კომუნიკაციის შეწყვეტას.

5.11 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება ადვოკატ ბ. ვ-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილების დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ"დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №007/17 ადვოკატ ბ. ვ-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/